

საბჭოთა

სპორტული გაზეთი

შაბათი 3 აპრილი 1999 №60 (833)

ფასი 1 ლარი

3 გაბრძობას ველით

ცნობილი ბელგიელი სპეციალისტი იოჰან ჰოსკამპი „დინამოს“ დააკვირდება

4 კოლუმბის პარაპელა

რესტორანი ოქროს ქვიშებზე




5 როგორ ეპოქის დასასრული

როგორ მოიგო „მილანმა“ ერთნახევარი თავდამსხმელით



6 სტეფანია ზინ მიდის, სიეტლი — უკან



7 მამა, ოლონდ არამარჩენალი

როგორ იწრთობოდა შავი ფოლადი

ჯომოლუნგმას ორთავ მხარას შირაში



მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი — ჯომოლუნგმა

რუსთაგელზე, თორთლაძე — ჰიპალაიზე

დღეს ქართველ მთამსვლელთა ერთი გუნდი დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმას დასალაშქრავად მიემგზავრება, საქართველოს ალპინისტთა სხვა ჯგუფი კი, როგორც ვიუწყებოდით, იმავე მიზნით თრი კვირის წინათ გაუდგა ვზახს. თრივენი კლასიკური მარშრუტებით აპირებენ ასვლას. ვინ იცის, იქნებ ისე მოხდეს, რომ ჩრდილო და სამხრეთ ფერდობებიდან ასულნი მწვერვალზე ერთმანეთს შეხვდნენ.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

არწივების ბუდეში



დღეს ნიგერიაში ახალგაზრდა ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება

იპო დრო, ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებს თბილისში მასპინძლობდა. წარსულს ჩაბარდა ის ხანა, როცა მაშინდელი ვ.ი. ლენინის სახელობის სტადიონზე ბრაზილია ესპანეთს ეთამაშებოდა, ირლანდია — საუდეთს. აქ, საქართველოს დედაქალაქში გამართული ბევრი მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი თამაში ჩაატარდა გულშემატკივარის მხედველობაში, მაგრამ 1985 წლის ზაფხულის ცხელი დღეები, როცა თბილისი მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატით სუნთქავდა, მაინც სხვა იყო. ეს გახლავთ ისტორია, რომელიც არასდროს მიეცემა დავიწყებას.
მას შემდეგ მთელი თოთხმეტი წელიწადი გავიდა. ბევრმა წყალმა ჩაიარა, დაიშალა საბჭოთა კავშირი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა.
სტადიონზე ვლადიმერ ილიას ძის ნაცვლად სტადიონს ბორის პაიჭაძის სახელი ეწოდა — სახელცვლილებისგან განსხვავებით, მას სახე ბევრად არ უცვლია...
1985 წლის შემდეგ მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ექვსჯერ გაიმართა, დღეს კი ახალი, მორიგი პირველობა იწყება.

მეათე მსოფლიოს ჩემპიონატს ახალგაზრდა ფეხბურთელთა შორის ამჯერად ნიგერია, „სუპერნივერსის“ და არანაკლებ ძლიერი „სუპერმარტინეის“ სამშობლო მასპინძლობს — დღეს ლაგოსში ნიგერია კოსტა რიკას ეთამაშება.
...1974 წელს ფიფას პრეზიდენტად ბრაზილიელი ჟოაო აველანჟი აირჩიეს. იმ წლებში ფიფა მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატს ატარებდა, თუმცა ახალმა პრეზიდენტმა საფეხბურთო სამყარო უმაღლეს დონეზე აწვინდა. „ფეხბურთი ისეთი სპორტია, რომელიც მუდამ ვითარდება. ფეხბურთის პროგრესს ხელი უნდა შევუწყოთ. მომავალზე აქედანვე უნდა ვიზრუნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მიზანი მიუღწეველი დარჩება“ — უთქვამს თავის დროზე აველანჟს. მისი სიტყვა უმაღლეს სიღრმეში — მძლავრი სპონსორების მიზიდვით ფეხბურთში დიდი თანხები ჩაიდო, ბევრმა ფულმა კი ახალი იდეები წარმოშვა.
აველანჟის ინიციატივით 1977 წელს პირველად გაიმართა მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ფეხბურთში. დღეს მოხუცი ბრაზილიელი უკვე აღარაა ფიფას პრეზიდენტი, თუმცა მისი მარჯვენა ხელი, ახლა მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის პრე-

ზიდენტი იოზეფ ბლატერი წინამორბედის ნაშრომულ საქმეს ერთგულად განაგრძობს.
მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატს აფრიკის კონტინენტი მეორედ მასპინძლობს — პირველი ტურნირი 1977 წელს ტუნისში ჩატარდა.
ფიფას მსოფლიო პირველობის გამართვა ნიგერიაში ჯერ კიდევ 1995 წელს ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ მაშინ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი იყო. გარდა ამისა, ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტმა ვერ შეასრულა დანაპირები და შეჯიბრებაც ყატარში გადაიტანეს. წლეულს ნიგერიას მასპინძლობის უფლების დაკარგვის საფრთხე არ დამუქრებია, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პრობლემები არ არის. განა რა გასაკვირია გადაუჭრელი საკითხები ნიგერიაში, როცა გასულ ზაფხულს, საფრანგეთში, გაცილებით ძლიერ ქვეყანაში ყველაფერი ვერ გვარდებოდა.
ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციას ერთი ძალიან უცნაური პრობლემა აღარდებს — მეძავთა საკითხი.

იხილეთ მეხუთე გვერდი

არნივების ბუდეში

საგარეო ურთიერთობების მინისტრის განცხადებით



1985 წელი. ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალის შემდეგ



10th FIFA World Youth Championship Nigeria 1999

3 - 24 April 1999

დასაწყისი პირველ გვერდზე

მოგესხნებათ, ფიფას გადაწყვეტილებით, მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში მონაწილეთა რაოდენობა 1997 წელს 24-მდე გაიზარდა. აფრიკის ამ სახელმწიფოში კი ნორმალური სასტუმროთა რიცხვი 15-ს არ სცილდება. ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციამ რამდენიმე ნაკრების შედარებით დაბალი დონის სასტუმროში დიზინავება გადაწყვიტა, საამისოდ კი მძეავეების განდევნა მოუხდა. სწორედ აქ ატყდა ერთი ამბავი — უფლებ...

ბაშელაშულმა ქალებმა სახელმწიფოს მიმართეს, ნიგერიის მძეავეთა ასოციაციამაც ხმა აიმაღლა, ხოლო თავად მსუბუქი ყოფაქცევის „მანდილოსნები“ დაიმუქნენ, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში ქუჩაში შიშველები ვივლით. — ყველაფერი კარგად იქნება. რადგან ნიგერიას ასეთი დონის ტურნირის მასპინძლობის უფლება არგუნეს, ჩვენ ვალდებული ვართ, დანაპირები უმაღლეს დონეს შევასრულოთ — განაცხადა ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ალიმ მუსამ.

მონაწილეებს ნიგერიელთა დაპირებების, როგორც ჩანს, ბოლომდე არ სჯერათ — არგენტინის ნაკრების ხელმძღვანელმა წარმომადგენელი გაუგზავნა კომფორტული სასტუმროს შესარჩევად, „ბრაზილიელთა კაცი“ სავარჯიშო მინდერის ძიებაშია, კორეელები კი, ემანდ რამე დაავადება არ გადაგვედოსო, საკუთარი წყლით ჩაღან ნიგერიას. ისევე როგორც მასპინძელი ნიგერია, სხვა მონაწილენიც დიდი მონდობით ემზადებიან ტურნირთვის. ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის ეს უმაღლესი დონის შეჯიბრია. ესა ტრამპონი მწვერვალისკენ. დღესდღეობით ცნობილ ბევრ ვარსკვლავს გაუბრწყინა მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაზე — დიეგო მარადონა, რამონ დიასი, კლაუდიო ტაფარელი, დავორ შუკერი, რობერტ იარნი, რობერტ პროსინჩეკი, სილასი, მიულერი, ლაზა გოდუაჰი

ანდრეას მიულერი... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ნიგერიი ფეხბურთელები ამ ტურნირზე იყვნენ და უეჭველია, კვლავაც იქნებიან. ისევე და ისევე ნიგერია. მასპინძლები იმედოვნებენ, რომ მიუხედავად უდიდესი წინააღმდეგობისა, მსოფლიოს ფეხბურთში თავის სიტყვას კიდევ ერთხელ იტყვიან. კიდევ ერთხელ იმიტომ, რომ მანამდე, 1996 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, ნიგერიელმა „სუპერარწივებმა“ სათქმელი თქვეს — ჩემპიონები გახდნენ. საინტერესოა, რას იზამენ „სუპერმართვეები“. მეტოქეები ნიგერიას ძლიერი ჰყავს. უპირველესად არგენტინა და ბრაზილია, მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის სამ-სამჯერ მომგები გუნდები. სამხრეთ ამერიკელთა ახალგაზრდული ნაკრებები მუდამ ძლიერები იყვნენ, ამ ბოლო წლებში კი განსაკუთრებით. მარტო ის რად ღირს, რომ ბოლო სამი ტურნირი სწორედ მათი გამარჯვებით დასრულდა — 1993 წელს ბრაზილიამ იმარჯვა, ხოლო მომდევნო ორ ჩემპიონატში, 1995 და 1997 წელს, არგენტინელები არავის უთმობენ პირველობას. ფაფორიტა სიას მიეკუთვნება პორტუგალიის საკამოდ ტექნიკური გუნდი, ლიდერთა შორისაა ურუგვაიც. არის კიდევ განა, აფრიკის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. ერთი სიტყვით, მართლაც დიდი სანახაობა გველის და არაა გამორიცხული, მსოფლიო ფეხბურთის თანავარსკვლავედს აპრილში კიდევ რამდენიმე პატარა მნათობიც შეემატოს. ...1985 წლის 1 სექტემბერს, თბილისში, ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე, მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის მეოთხედფინალში კოლუმბიელთა 6:0 განადგურების შემდეგ ბრაზილიელთა მწვერთელმა ფელსონ ნუნესმა განაცხადა: „მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველას კეთილი სიტყვებისა და მილოცვებისთვის. ვისურვებდი, რომ მომავალშიც ისეთივე კეთილგანწყობილი მაყურებელი გვყავდეს, როგორიც თბილისშია“. ექვსი დღის შემდეგ ბრაზილიამ ფინალში ესპანეთი დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.



— ახლოს რას იტყვი?
— სამწუხაროა, სამწუხარო...
— რა?
— ყველამ რომ თამაში ისწავლა...
— ეგ სასიხარულო ამბავი მგონია.
— რა ვქნა? მე არ მიყვარს, იტალია რომ ბელარუსს ვერ უგებს.
— საფრანგეთში ხომ მოუგო სომხეთს?
— ხო, მაგრამ სომხეთსაც უსწავლია.
— რატომ გალიზიანებს სწავლა?
— იმიტომ, რომ ჩვენ ვერაფერს ვსწავლობთ.
— ისლანდიას კარგა ხნის ნასწავლი აქვს.
— ჰო, მაგრამ სამოსანია. მე რომ ვყოფილიყავი, უკრაინას მოუუგებდი.
— სასაცილო კაცი ხარ უკრაინას ვერაფერს უგებს.
— ჰო, მაგრამ უკრაინაც ვერაფერს უგებს.
— ჩვენ ხომ მოვეგო? რუსებსაც მოუგო.
— გაიღვინა გუნდები.
— ბრაზილიას რომ კორეამ მოუგო, ამაზე რაღას იტყვი?
— რივალდოზე დამწვდა გული, პატოსანი ბიჭია, ფეხბურთის ბიჭია...
— ფეხბურთის თამაშობს და აბა რისი ბიჭი უნდა იყოს?
— ეჰ, განა ვინც ფეხბურთის თამაშობს, ყველა ფეხბურთის ბიჭია?
— აბა, როგორ?
— უან მარკ ბოსმანი ხომ თამაშობს ფეხბურთს...
— მერე?
— მერე ფეხბურთის ბიჭია?
— რაღა ბოსმანს მიახტი?
— მაგან მოგვიხაზა მომავალი.
— კიდევ ვინ არ არის ფეხბურთის ბიჭი?
— მთელი ლაშქარი. არ დავასახელებ. თავადაც იცი. შორს არ არის საძებარი.
— ტაქტიკაზე რას იტყვი?
— შინაურზე თუ გარეულზე?
— რომელზეც გაგიხარდება.
— მე ეშმაკურად შეგეკითხე, იმიტომ, რომ ტაქტიკა მხოლოდ გარეული არსებობს.
— მაშ, მითხარი, როგორია ტაქტიკა დინო ძოფისა?
— ვეუვობ, რომ ეს ისეთი ტაქტიკაა, რომელიც გრემ ტეილორს გაახსენებს კაცს.
— კერძოდ?
— კერძოდ, ძოფსა სურს, ნახევრით ნოლი მოიგოს, ასეთი რამ კი არ არსებობს.
— და კივანის ტაქტიკაზე რას იტყვი?
— პატარა ბავშვი რომ ასანთს გააკრავს და თითები სანამ არ დაეწვება, მანამდე რომ ხელში უჭირავს, იმას ჰყავს.
— ამით რისი თქმა გინდა?
— კივანი შეუტყვეს ლადად, ალადად, გემრიელად და შეყრის სამ გოლს.
— მერე მთავს რა ჯობია?
— ეჰ, საშს რომ შეყრის, ოთხს გაუშვებს.
— პენალტები?
— თუ მოახერხა და ოთხი არ გაუშვა, მაშინ პენალტებით წააგებს.
— და გაზა?
— გაზამ ყველა გააბრაზა.
— გაზა თუ იქნება კივანის გუნდში?
— თუ მანამდე მუხუმში არ გადაიტანეს, კი.



ბრაზილიის ნაკრების კარს კლაუდიო ტაფარელი თბილისშიც იცავდა

Table with match schedules and results for the 1999 FIFA World Youth Championship. It lists groups A through F, match dates, times, and scores. Group A includes matches like 03.04.99 ლაგოსი ნიგერია — კოსტა რიკა. Group B includes 04.04.99 კადუნა განა — ხორვატია. Group C includes 04.04.99 იბადანი ავსტრალია — საუდეთი. Group D includes 05.04.99 ენუგუ ურუგვაი — მალი. Group E includes 05.04.99 კანო კამერუნი — იაპონია. Group F includes 05.04.99 კალაბარი ზამბია — ჰონდურასი. A final table shows results for 14.04.99 and 18.04.99 matches across various groups.



068ლინი
XXXI ტური
ასტონ ვილა 0:0 მესტ ჰეი
პირველი დივიზიონი
XLI ტური
ძრიუ 0:0 ბირმინგემი

ბელგია
XXVIII ტური
ანდერლეხტი 1:1 ლოკერენი
პოლენეთი
XX ტური
ვიკივი 1:0 კატოვიცა
სტომილი 1:0 რუხი
ზაგლეზე 2:2 ლჰა


საფრანგეთი
XXVIII ტური
მონაკო 1:2 მარსელი
0:1 კამბრა (14), 1:1 იკუბა (27), 1:2 რაგონელი (48)
სოშო 0:3 რენი
0:1, ბინე (4) 0:2 ნონდა (51), 0:3 ლერო (54)

ჰოლანდია
ალკაბარი 0:2 ფიენოორდი
0:1, 0:2 კრუზი (45, 73)
სპარტა 2:3 ბრაუფსხაპი
1:0 ტამერი (11), 1:1 დენ ტურკი (43), 1:2 გერიტსენი (51), 2:2 ელ ხატაბი (62), 2:3 რზასა (90)
სიტარდი 1:0 ვარენვენი
1:0 ჯეფრი (80)
ნაიმიგანი 1:0 კამპური
1:0 მაესი (113)

თურქეთი
XXVI ტური
ადანა 0:2 ტრაზონი
1:0, 2:0 ფათიმი (57, 64)



მონაკო — მარსელი 1:2. მარსელის „ოლიმპიკის“ მოთამაშემ, ტიტი კამარამ ანგარიში გახსნა და პრინციპულ მატჩში გამარჯვებას ჩაუყარა საფუძველი



ბაშო: დავური ალავი

ოსაბაში მოწყობილი თხუთმეტდღიანი საგზაფერო ბაშო ანუ სუმისტოა ფრიადი ძიძგილაობა ამ ჰაგაური წარმომავლობის დევმა, მუსაშიმარუმ დაიალაფა. ჩატარებული 15-ში იმარჯვა, მხოლოდ ორი დათმო და იმპერატორის თასიც ფაიზალი უეჭველობით ჩაიბარა.



რა ხედი, რა რეპორაჟი!

ჰონოლონში მსოფლიოს საცურათ ელიტა შეყრილა და რეკორდს რეკორდზე ამხობს. მაგრამ ზოგიერთ მაკგარანცხ პაპარაცოს ბილიკთა ფინიშებზე მეტად მათი სტარტები აინტერესებთ ამგვარი ბარაქიანი ხედი ხომ აქედან უფრო თვალსაჩინოდ დუნდულებს ხდომე... „მსოფლიოს 1999 წლის ჩემპიონატი“ „მოკლე აუზებისთვის“ მაგან დაუდგენელ მოცურავე ქალს უკან სწორედ ეგეთი რამე აქვრია.



პაკისტანური პარიპარაღი

ულამაზუსმა ინდურმა ქალაქმა მოჰალიმ გუშინ სამერა და ერთდღიან საკრიკეტო ტურნირს უმასპინძლა. განსაკუთრებული მარიფათითა და ეშხი-მეშხით თურმე პაკისტანელი და შინდუ ათლეტები ვარჯილან. ვარჯილან და ტრიბუნებზე შეფენილი მაღლიერი მოსიერების ფრიადი ყიფინა და ჰარიპარაღეც მოუშვიათ... თუმცა გასახარად საქმე უფრო პაკისტანელებსა ჰქონდათ — მათმა დაუზარელმა ბიჭებმა მასპინძლებს შვიდმეტანი უპირატესობით მოუგეს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბერიდან
გამოდის სამაგათს, ოთხმაგათს, ხუთმაგათს, კარასკეპს და შაბათს

მოთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე
დირექტორი ბიორბი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრიალი
მოთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი პასტანო ბუიკაძე
ინფორმაციის რედაქტორი სოსო კოტორაძე
ტექნიკური რედაქტორი ბურაბ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულიშვილი, გიორგი ვაშაყიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვირა სანიკიძე

უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლონჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბაგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საზოგადოებრივი მისამართი: თბილისი — 79, საზოგადოებრივი ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29